



7189/3-81/21 2 09072021

7189/3-81/21

09-07-2021

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს

ბატონ ვახტანგ გომელაურს

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, მოგმართავთ პარლამენტის წევრის კითხვით.

მოგეხსენებათ, 2021 წლის 5-6 ივლისს, ქალაქ თბილისში, ძალადობრივი ჯგუფების მიერ განხორციელებული ქმედებების შედეგად ჯანმრთელობის მძიმე და ნაკლებად მძიმე დაზიანებები მიიღეს მოქალაქეებმა, ათობით ჟურნალისტმა, ფოტოგრაფმა და ოპერატორმა.

ძალადობრივი ჯგუფის წევრების მიერ განხორციელებულ ქმედებებში, როგორც მედიაში გავრცელებული კადრებიდან ჩანს, არაერთი სავარაუდო სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები იკვეთება. კერძოდ: ჯანმრთელობის ჯგუფურად განზრახ მძიმე/ნაკლებად მძიმე დაზიანება მსხვერპლის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით ან/და სიძულვილის მოტივით; ჯგუფური ძალადობის ორგანიზება, ხელმძღვანელობა ან მასში მონაწილეობა; ძალადობრივი ქმედებისაკენ საჯაროდ მოწოდება; ჯგუფური ძალადობა; ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა; სხვისი ნივთის დაზიანება/განადგურება; წინააღმდეგობა, მუქარა ან ძალადობა საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის მიმართ და სხვა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, გთხოვთ, მომაწოდოთ ინფორმაცია:

1. რამდენი პოლიციელი იყო უშუალოდ ჩართული ძალადობრივი მოქმედებების აღკვეთაში?
2. რამდენმა პოლიციელმა მიიღო ფიზიკური დაზიანება?
3. რამდენი პირის მიმართ არის აღძრული საქმე პოლიციელის დაზიანების საფუძველით?
4. რამდენი პირის მიმართ მიმდინარეობს საქმე სისხლის სამართლის წესით - საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის მიმართ მუქარის ან ძალადობის მუხლით, ან ადმინისტრაციული წესით - პოლიციელის კანონიერი ბრძანების მიმართ დაუმორჩილებლობის მუხლით?
5. რა სახის საპროცესო და საგამოძიებო მოქმედებები განხორციელდა კონკრეტულ საქმეთა გამოძიებების ფარგლებში?

6. მიმდინარეობს თუ არა გამოძიება ძალადობის ორგანიზების მუხლით?
7. არიან თუ არა ძალადობრივი მოწოდებებისა და ქმედებების ორგანიზატორები სრულად იდენტიფიცირებულნი?
8. რამდენი პირია ცნობილი დაზარალებულად 5-6 ივლისის მოვლენებთან კავშირში?
9. სულ რამდენი პირის მიმართ და რა წესით მიმდინარეობს საქმის წარმოება? (გთხოვთ, ცალ-ცალკე მიუთითეთ სისხლის სამართლის წესით და ადმინისტრაციული წესით მიმდინარე საქმეთა რაოდენობები)

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი  
ანა ნაცვლიშვილი





საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA



17/08/2021



MIA 8 21 02168166

საქართველოს პარლამენტის წევრს  
ქალბატონ ანა ნაცვლიშვილს

ქალბატონო ანა,

2021 წლის წლის №7189/3-81/21 მომართვის საფუძველზე, 2021 წლის 5-6 ივლისს, ქ. თბილისში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 5 ივლისს, დილის საათებიდან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) შესაბამისი საპოლიციო დანაყოფები, წინასწარ შემუშავებული გეგმის შესაბამისად, მობილიზებული იყვნენ თბილისში, რუსთაველის გამზირზე და მის მიმდებარე ტერიტორიაზე. ასევე, მობილიზებული იყო სპეციალური დანიშნულების სარეზერვო ძალები, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში, კონკრეტული მითითების შესაბამისად, ჩაერთვებოდნენ ღონისძიებაში. 2021 წლის 5 ივლისის ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად მზადყოფნაში იმყოფებოდა სულ 3200-3400 პოლიციის თანამშრომელი.

იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ წინასწარ ზუსტი დრო და ლოკაცია არ იყო ცნობილი, საიდან დაიწყებოდა „თბილისი პრაიდის“ მიერ დაანონსებული ღირსების მარში, პოლიციის ჯგუფები გადანაწილდა სხვადასხვა ლოკაციაზე, სადაც განლაგებული იყვნენ მოწინააღმდეგეთა ჯგუფები, კერძოდ: რუსთაველის მეტროს მიმდებარე ტერიტორია, ქაშვეთის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორია, "დედაენის" პარკი, "9 აპრილის" ბაღი, ფილარმონიის მიმდებარე ტერიტორია და სხვა ადგილები.

რუსთაველის გამზირზე მიმდინარე აქციის დროს მოულოდნელად, "ღირსების მარშის" მოწინააღმდეგე ჯგუფების წევრები გახდნენ აგრესიულები და დაიწყეს ძალადობრივი ქმედებები. პოლიციის თანამშრომლებისთვის უპირველეს ამოცანად დაისახა აგრესიული ჯგუფებისგან მედიის წარმომადგენლების განცალკევება და ჟურნალისტების უსაფრთხო ადგილზე გაყვანა.



აღნიშნულის პარალელურად, ქ. თბილისის სხვადასხვა ქუჩებში ხდებოდა კონტრაქციის მონაწილეთა არაორგანიზებული და ქაოტური გადაადგილება, რის შესაბამისადაც, სამინისტროს უწევდა რეაგირების მიზნით არსებული სარეზერვო საპოლიციო ძალების სხვადასხვა ლოკაციაზე ერთდროულად გადანაწილება.

ამასთან, სამინისტროში ერთდროულად შედიოდა ინფორმაცია სხვადასხვა ადგილობრივი, თუ საერთაშორისო ორგანიზაციების ოფისებზე მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ. შესაბამისად, სამინისტროს უწევდა ყველა შეტყობინებაზე რეაგირების მიზნით დამატებითი ძალების მობილიზება კონკრეტულ ლოკაციებზე.

ეს ღონისძიება ხორციელდებოდა იმის ფონზე, რომ მოქალაქეების მხრიდან, ორგანიზაციების ოფისებზე თავდასხმის პარალელურად, რუსთაველის გამზირზე და მის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ სკვერებში, პარკებში, პოლიცია ცოცხალი ძალით, მთელი დღის განმავლობაში ცდილობდა შეკრებაში მონაწილე პირების შეკავებას, რომელთა აგრესია მიმართული იყო ჟურნალისტებისა და ოპერატორების მიმართ.

რაც შეეხება, 2021 წლის 6 ივლისს, რუსთაველის გამზირზე განვითარებულ მოვლენებს, აღსანიშნავია, რომ დაიგეგმა ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მრავალრიცხოვანი აქცია. მყისიერად მოხდა საპოლიციო ძალების, მათ შორის, სპეციალური დანიშნულების ძალების მობილიზება.

აღსანიშნავია, რომ „მდუმარე აქცია“ და მისი კონტრაქციაც იმართებოდა საქართველოს პარლამენტის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე, ერთ ლოკაციაზე. შესაბამისად, ცოცხალი ძალის სრული კონცენტრირება მოხდა აქციისა და კონტრაქციის მონაწილეთა განცალკევების მიზნით.

2021 წლის 6 ივლისს, დაახლოებით 6 საათის განმავლობაში, პოლიცია უზრუნველყოფდა საქართველოს პარლამენტის წინ აქციის მონაწილეთა უსაფრთხოების დაცვასა და აგრესიულად განწყობილი ადამიანების მასების მართვას.

2021 წლის 5-6 ივლისს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, 100-ზე მეტი პირი იქნა დაკავებული ადმინისტრაციული წესით, რომელთა ნაწილი სასამართლოში ნებაცდლობით გამოცხადების ხელწერილის საფუძველზე გათავისუფლდა, ხოლო, ნაწილი კი შესახლებულ იქნა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორში.

ამასთან, ზემოაღნიშნულ მოვლენებთან დაკავშირებით - ძალადობის, ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის, სხვისი ნივთის დაზიანებისა და განადგურების, ჯგუფური ძალადობის ორგანიზების, საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის მიმართ მუქარის ან ძალადობის ფაქტებზე დაწყებულ სისხლის სამართლის საქმეებზე, გამოკითხულია 200-ზე მეტი პირი და ჩატარებულია 700-ზე მეტი საპროცესო და საგამომიებო მოქმედება, რომლის ფარგლებშიც, გამოძიების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე ბრალდებულის სახით ამ ეტაპზე დაკავებულია 31 პირი, საიდანაც 27 პირი დაკავებულია ჟურნალისტებზე თავდასხმისა და ძალადობის საქმეზე, 3 პირი - "თბილისის პრაიდის" ოფისზე თავდასხმის ფაქტზე, ხოლო, 1 პირი - მოქალაქეზე თავდასხმის ფაქტზე. აღნიშნულ პირებს ბრალი წარედგინათ ჟურნალისტისათვის ძალადობით პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის, ბინის ხელშეუხებლობის დარღვევის, ადამიანის სიტყვის, აზრის, მისი

საზოგადოებრივ და პროფესიულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით ძალადობით და ძალადობის მუქარით ჩადენილი დევნის და ჯგუფურ მოქმედებაში მონაწილეობის ფაქტებზე, რასაც თან ახლავს ძალადობა, რბევა.

ამჟამად, აქტიურად გრძელდება საგამომიებო და საპროცესო მოქმედებები, დამნაშავე პირთა გამოვლენისა და საკმარისი მტკიცებულებების შეგროვების შემთხვევაში მათი დაკავების მიზნით.

2021 წლის 5-6 ივლისს, საპროტესტო აქციების დროს, თბილისის მასშტაბით სხვადასხვა ლოკაციაზე მყოფმა პოლიციის 8 თანამშრომელმა მიიღო სხეულის სხვადასხვა ხარისხის დაზიანება.

ამასთან გაცნობებთ, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მიხედვით, სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოა საქართველოს პროკურატურა, ხოლო ამავე კოდექსის 33-ე მუხლის თანახმად, პროკურორი უფლებამოსილია პირი ცნოს დაზარალებულად. შესაბამისად, ბრალდებულ/დაზარალებულ პირებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღების მიზნით, მიზანშეწონილია მიმართოთ საქართველოს გენერალურ პროკურატურას.

პატივისცემით,

ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსი  
ქეთევან ტყეშელაშვილი

